განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. №14ა-ში მდებარე შ.პ.ს. "ლგ გლასს"-ის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე მდებარე მრავალფუნქციურ კომპლექსში განთავსებულია საოფისე, კომერციული და საწარმოო ფართები.

საწარმოო ნაწილში, რომელიც განთავსებულია "სამრეწველო ზონისა და საზოგადოებრივ საქმიანი ზონის საზღვარს" შიგნით ("ბ"-ღერძიდან 7,0 მ-იან ზოლში), ხორციელდება შუშის წრთობა, რომელიც მიმდინარეობს 300 გრადუს (ცელსიუსით) ტემპერატურაზე მისი შემდგომი მკვეთრი გაციებით, ჰაერის ჭავლის გამოყენებით. შუშის წრთობა ხორციელდება ჩინური კომპანია "CMS Glass"-ის წარმოების "GR 121112-F-12B4225" ნიშანდების აგრეგატში. წრთობის შედეგად წარმოქმნილი მკუმშავი ძალვები შუშას ხდის უსაფრთხოს, რადგანაც მისი მექანიკური სიმტკიცე წრთობის შედეგად 5-6 ჯერ აღემატება ჩვეულებრივი შუშის სიმტკიცეს.

სამშენებლო ნორმებისა და წესების (СниП 2.01.02-85 „Противопожарные нормы") – "ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები"-ის დანართი 2-ის ცხრილის თანახმად ხანძარმედეგობის მიხედვით შენობა შესრულებულია II-ხარისხის ხანძარმედეგი კონსტრუქციებით, ხოლო შენობისა და სათავსოების ფეთქებადხანძარსაშიშ და ხანძარსაშიშ კატეგორიების დადგენის" ნორმატიული დოკუმენტის №1 ცხრილის თანახმად შუშის წრთობის წარმოება შეიძლება მივაკუთვნოთ "Г" კატეგორიას, რადგანაც პროდუქცია მიეკუთვნება – "უწვადი ნივთიერებები და მასალები ცხელ, გავარვარებულ ან გამდნარ მდგომარეობაში" არსებულ ნაწარმს, რომელიც მიეკუთვნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და წარმოების დროს მავნე ნივთიერებები არ გამოიყოფა.

ტექნოლოგი, პროექტის

მთავარი ინჟინერი რ. აფხაძე